31
ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 22 მარტი, 1921 წ.

№ 16 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 16

ყველა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს

ს. კ. პ. ცე-კა წინადადებას გაძლევთ საჩქაროთ წარმოადგინოთ სია ახალგაზდა—18 წლიანებისა და დაბლა—მუშებისა.

ს. კ. პ. ცე—კას მდივანი **ლ. დუმბაძე.**

ახ.—გ. კომ. კავშირის მდივანი: **ამასი.**

აჭარის განთავისუფლება.

[illegible]ომში აჭარის ხალხს გაეგზავნა საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ფ. მახარაძის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დეპეშა:

ძმებო და ამხანაგებო, აჭარის მუშებო და გლეხებო! ბოლო მოეღო თქვენ ტანჯვა-წამებას: თქვენ განთავისუფლებულნი ხართ. თქვენი მშვენიერი მხარე ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ იყო აოხრებული და აწიოკებული. თქვენ დაგცინოდნენ როგორც ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის იმპერიალისტები, ისე მენშევიკი მოძალადენი, შეურაცხყოფდნენ თქვენს ადათებს, ჩვეუ[illegible] სარწმუნოებას. ამიერიდან დაცინვას აჭარის ხალხზე ბოლო [illegible]ეღო. ამ საზეიმო და დიდმნიშვნელოვან წუთს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა მთელ მსოფლიოს და ყველა ქვეყნების მუშების წინაშე საჯაროთ აცხადებს: დღეიდან აჭარა და აჭარის ხალხი სრულიად თავისუფალი და სრულიად ხელშეუხებელი იქნება. აჭარის ხალხს მიენიჭება ავტონომიური მართველობა საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე. გაუმარჯოს აჭარის მუშებს და გლეხებს. გაუმარჯოს ავტონომიურ საბჭოთა აჭარას. გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას. გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**.

სალამი წითელ ბათომს!

საბჭოთა წითელი ჯარები შევიდნენ ბათომში. დაეცა უკანასკნელი დასაყრდენი ძველი მთავრობისა და ბუდე ანტანტის ინტრიგებისა ამიერ-კავკასია-ოსმალეთში. ამიერიდან მუშურ-გლეხური რევოლიუციის წითელი დროშა ამაყად იფრიალებს შავი-ზღვის საუკეთესო ნავთსადგურზე. ამიერიდან საბჭოთა რესპუბლიკებს ღიათ ექნებათ ევროპაში და აზიაში გასავალი კარები. ბევრი ეცადა, ეხლა-უკვე იტალიის გემით გაქცეული, საქართველოს ყოფილი მთავრობა—ბათომში გაება ჩვენი საწინააღმდეგო ქსელები, აქედან დაეწყო თავისი დალუპული ბატონობის ხელ-ახალი აღდგენა. ქემალისტების ხიშტებით და საფრანგეთ-ინგლისის დრედნოუტებით მოინდომა მან განეხორციელებინა [illegible] თავისი შავი განზრახვა—საქართველოს მშრომელთა სისხლის ახალი დღვრა—მაგრამ უმოწყალო და შეუბრალებელმა ისტორიამ მწარედ დასცინა მას.

ქემალისტების ხიშტები ძალიან ულონონი დარჩნენ მენშევიკების დალუპული საქმის გამოსაბრუნებლად, ხოლო საფრანგეთ-ინგლის-იტალიის დრედნოუტებმა ის შესძლეს, რომ მათი მკვდარი ბატონობის ცხედარი ბათომიდან სტამბოლში წაესვენებიათ. რუსეთის რევოლიუციის „სახელოვან“ ემიგრანტთა ოჯახს—დენიკინს, ,ვრანგელს, იუდენიჩსა და პეტლიურას—მიემატა ახალი არა ნაკლებათ ნასახელები ემიგრანტები: ჟორდანია—რამიშვილი, თავისი ამალით. წითელი ბათომი სიხარულით და ზიზღით გაისტუმრებდა მათ: სიხარულით, რომ როგორც იქნა თავიდან მოიშორა მათი ყოველ წრეს გადასული თავაშვებული ბატონობა და ზიზღით, მათი წარსულის მოგონებით და მათი უკანასკნელი სამარცხვინო ღალატით.

გზა მშვიდობისა, საქართველოს მშრომელი ხალხის, სოციალიზმის და სამშობლოს მოღალატენო!

სალამი წითელ ბათომს, შავი ზღვის წითელ ნავთსადგურს! სალამი განთავისუფლებულ ბათომის მუშებს!

მოკლე წერილები.

1. სავაჭრო ხელშეკრულება ინგლის რუსეთს შორის

16 მარტს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის რწმუნებულს ამხ. კრასინს ხელი მოუწერია სავაჭრო ხელშეკრულებაზე ინგლისთან. ჩვენ ჯერ არა გვაქვს დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ—თუ როგორია ეს ხელშეკრულება ე. ი. დარ[illegible] ისევე, როგორც ეს წამოაყენა ინგლისმა ამ რამდენიმე კვირის წინად, თუ იქნა შეტანილი მასში რაიმე ცვლილებები, როგორც ამას მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკა. ამის შესახებ ცნობებს ალბათ მალე მივიღებთ და მაშინ კიდევ დავუბრუნდებით ამ ხელშეკრულების უფრო დეტალურად განხილვას, ეხლა კი მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ ამ ფაქტის მხოლოდ საერთო მნიშვნელობაზე, განუხილავათ იმისა, თუ როგორია ესა თუ ის მუხლი დადებული ხელშეკრულებისა—ამა თუ იმ მხარის ინტერესების მიხედვით. მომხდარი ფაქტი კი შემდეგს გვიჩვენებს: საბჭოთა რუსეთმა კიდევ ერთი, შექმნილ პირობებში მეტად მნიშვნელოვანი, გამარჯვება მოიპოვა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ კაპიტალისტური ევროპის სახელმწიფონი ნაბიჯს ნაბიჯზე, პოზიციას პოზიციაზე უთმობენ სოციალისტურ რუსეთს. პირველად იყო და მათ კანონის გარეშე გამოაცხადეს მთელი საბჭოთა რუსეთი თუ მისი ხელმძღვანელნი და მოინდომეს მისი ცეცხლითა და მახვილით განადგურება. რუსეთის შეიარაღებული კონტრ-რევოლიუცია თუ სულდგმულობდა, თუ უნარს და შეძლებას ნახულობდა თითქმის სამი წლის გასწვრივ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ბრძოლაში ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მის ზურგს უკან და ხშირად, მის რიგებშიაც, იდგა იმპერიალისტური ევროპა თავისი სამხედრო ძალებით და ეკონომიური ძლევა-მოსილებით.

ამ სამხედრო დუელიდან—საბჭოთა რუსეთს და ანტანტას (უმთავრესად) შორის—გამარჯვებული გამოვიდა ყველა ფრონტებზე პირველი. ევროპა იძულებული იყო განეცხადებია თავის მეთაურის ლოიდ-ჯორჯის პირით, რომ „შეიარაღებული ძალით საბჭ. რუსეთის დამარცხება შეუძლებელია“, რითაც მან ჯვარი დაუსვა სამი წლის შეიარაღებულ ბრძოლას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ევროპამ მოინდომა რუსეთის მოკვლა—ეკონომიური ბლოკადით. რუსეთი მეტად ღარიბი სამრეწველო ქვეყანაა. იგი მდიდარია ნედლი მასალით, მაგრამ ღარიბია ინდუსტრიით. ამიტომ, თუ კი ამ მხრივ ღონიერი და მდიდარი ევროპა მას ბლოკადას გამოუცხადებდა, დახმარებას არ გაუწევდა საფიქრებელი იყო, რომ რუსეთი ამას ვერ გაუძლებდა: მისი ეკონომიურად ისედაც სუსტი ხერხემალი, უფრო მეტად დასუსტებული იმპერიალისტური და საშინელი ხანგრძლივი სამოქალაქო ომით, ვერ აიტანდა ამ ბლოკადას და დაიმსხვრეოდა; მასთან ერთად კი თვით საბჭოთა რუსეთიც. ასე ფიქრობდა კაპიტალისტური ევროპა და, როდესაც პირდაპირი ბრძოლაში მას ხმალი გადაუტყდა, მან ის უმთავრესად ბრძოლის ამ მეთოდს დაეყრდნო. მაგრამ შედარებით მოკლე დროში ევროპამ დაინახა, რომ პირველად ყოვლისა, თუ კი რუსეთს ესაჭიროება ევროპის ინდუსტრიის [illegible] ნაწარმოებნი, სამაგიეროთ არც ევროპის გადაგვარებულ კაპიტალიზმს შეუძლია იარსებოს, თუ კი მას არ ექნა რუსეთის მდიდარი ნედლი მასალა. **ეკონომიური ბლოკადა ორივე თავით წვეტიანი გამოდგა და მისი სიმწვავე თვით მისმა ავტორებმაც იგრძნეს,** შეიძლება არა ნაკლებათაც, ვიდრე იმან, ვის წინააღმდეგაც იგი იყო მიმართული. მეორე მხრივ გამოირკვა, რომ თუმცა რუსეთი მსხვილი წარმოებით ძალიან ღარიბია და ევროპის დაუხმარებლათ მას ძალიან გაუჭირდება, მაგრამ მას მაინც შეძლება საკუთარი ძალებით წარმოების არა მარტო გამაგრება, არამედ ზოგიერთ დარგებში მისი გადიდებაც და გაფართოებაც. საბჭოთა მთავრობის ეკონომიკის ახალმა მეთოდებმა ახალ ლიანდაგებზე დააყენა რუსეთის მრეწველობა-წარმოების საქმე, რამაც შედეგათ მოგვცა, თუმცა ძნელი პროცესით მიმავალი, მაგრამ მაინც წარმოების შესამჩნევი პროგრესი. ნათელი გახდა, რომ თუმც განუზომელი წვალებით და ტანჯვით, უდიდეს ენერგიის დახარჯვით,—მაგრამ, ახალ რუსეთს თავისი ეკონომიკის სოციალისტური მეთოდებით, მაინც შესაძლოა წარმოების ნგრევა — რღვევის, — რასაც ეხლაც ადგილი აქვს ევროპაში,—არა მარტო შეჩერება, არამედ მისი წინ—წაწევა, გაფართოება გაუმჯობესება. ევროპის სახელმწიფონი იძულებულნი გახდენ ანგარიში გაეწიათ ყოველივე ამისთვის და ეჭვი შეეტანათ ეკონომიურ ბლოკადის მიზან-შეწონილობაში, ვარგისობაში. საბჭოთა რუსეთმა აქაც შესძლო ჩაეფუშა თავისი მოწინააღმდეგეთა გეგმები—ეკონომიური ბლოკადა დამარცხდა, ევროპისათვის, შეიძლება უფრო სამარცხვინოდ, ვიდრე სამხედრო ინტერვენციის პოლიტიკა. ყველაზედ უფრო გონიერმა ევროპაში ინგლისის კაპიტალიზმმა ამ დამარცხებას სხვებზე ადრე გაუწია ანგარიში და მისგან შესაფერი დასკვნები გამოიტანა: **რომ საბჭოთა რუსეთს ევროპის კაპიტალიზმი ვერ დაამარცხებს ვერც სამხედრო ძალით, ვერც ეკონომიური ბლოკადით.** და რადგან, ურუსეთოდ ევროპა ვერ გასძლებს, რუსეთს კი დღეს წარმოადგენს საბჭოთა რუსეთი, რომლის დამარცხება შეუძლებელი გახდა, ამიტომ საჭირო შეიქნა საბჭოთა რუსეთთან რაიმე ურთიერთობის დამყარება, რამოდენიმეთ მაინც ნორმალური დამოკიდებულების აღდგენა.

პირველი ნაბიჯი ამ მხრივ სავაჭრო ხელშეკრულების გამომუშავება იყო. დიდ ხანს აჭიანურა ინგლისმა ამ ხელშეკრულების დაბოლოვება.

საჭირო შეიქნა კიდევ ერთი წელი, რომ იგი დარწმუნებულიყო ასეთ ხელშეკრულების დადების აუცილებლობაში. 16 მარტს საბოლოოდ გადაწყდა ეს საკითხი: **ისტორიამ კიდევ ერთი ახალი, მეტად საგრძნობი დამარცხება აგემა ევროპის იმპერიალიზმს საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში. სამხედრო ინტერვენციის უარყოფას და ეკონომიური ხელშეკრულობის დადებას ლოლიკურად თან მოჰყვება საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურად ცნობა, მისი ევროპის და ამერიკის სახელმწიფოთა ოჯახში შეყვანა იურიდიულათ და ეს მოხდება სულ ახლო მომავალში, თუ კი ამ ხნის განმავლობაში ეს ოჯახი კიდევ ცოცხალი დარჩა, რაშიაც ჩვენ საფუძვლიანათაც, დიდი ეჭვები შეგვდის.**

გ. ბახტიარი.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია კრუზენშტერნის ქ. № 4.

— **საქ კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე 4 ე რაიონის ბიურო—ოლღინის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს“ შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

ოპერატიული ცნობა.

1921 წლის მარტის 19-ს.

ჩვენმა ნაწილებმა 13 მარტს დაიჭირეს ქ. ბათომი. მენშევიკურ საქართველოს მთავრობა იტალიის გემით წავიდა სტამბოლში საფრანგეთის ნაღმოსნების მფარველობით. ყველა განძეულობა და დიდი ქონება მთავრობამ თან [illegible]. პოლიტიკური ტუსაღები ათასამდე [illegible] ციხიდან გამოუშვეს. 17-დან 18 [illegible] მოეწყო რევკომი, ციხიდან განთავისუფლებულ სერგო ქავთარაძის მეთაურობით. დანარჩენ ადგილებში მნიშვნელოვა[illegible]

საუბარი ამხ. ფ. მახარაძესთან.

გრუსტას თანამშრომელთან საუბარში რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარემ და მიწად-მოქმედების სახალხო კომისარმა ფ. მახარაძემ სასოფლო მეურნეობის უახლოეს მიზნების შესახებ საქართველოში, განაცხადა: „საქართველოში სახალხო მეურნეობის აღსადგენათ და გასავითარებლად მიღებულ იქნება ფრიად ენერგიული და გადაუდებელი ზომები. პირველ რიგში დგას აგრარული რეფორმა. მენშევიკების აგრარული რეფორმა არსებითად არ იყო აგრარული რეფორმა, რადგან საქართველოში ამ რეფორმის განხორციელებამ არ მოუტანა დადებითი შედეგი მშრომელ ხალხს. მიწების სულ მცირე ნაწილის გადაცემა გლეხებისათვის, განა შეიძლება აგრარულ საკითხის გადაწყვეტათ ჩაითვალოს? ფაქტიურად მიწების უმრავლესობა ძველებურად ისევ მემამულეების ხელში დარჩა. გასაგებია, რომ აგრარულ საკითხის ასე უმართლოდ გადაწყვეტას გლეხობა ვერ შეურიგდებოდა და აქედან იწყება გლეხების ღელვება და აჯანყება.“ ჩვენ—განაცხადა ამხანაგმა მახარაძემ — გადავჭრით აგრარულ საკითხს იმ სახით, როგორც ეს გადაჭრილია საბჭოთა რუსეთში. კერძო საკუთრება გაუქმებულ იქნება არა მშრომელ კლასის, არამედ მემამულეების, საეკლესიო და სხვა მიწები უფასოდ ჩამორთმეულ იქნება და სახალხო საკუთრებად გამოცხადდება. ეს ზომა არ გავრცელდება წვრილ მიწადმფლობელებზე. მიწადმფლობელებს, ყოფილ კერძო მესაკუთრეებს, რომელთა ხელშიაც იყო საკმაო მიწა, მიწა მათ ჩამოერთმევათ და განაწილებულ იქნება თვით მშრომელთა შორის. ამასთან მიწის გაყიდვა და გადაცემა სხვაზე არ შეიძლება. ყველა მსხვილი მეურნეობა შენახულ იქნება ეხლანდელი სახით და საბჭოს ხელში იქნება და იქ მოეწყობა სამაგალითო მეურნეობა, რომელიც არა მარტო მაგალითი იქნება გლეხთა წვრილ მეურნეობისათვის, არამედ დახმარებას გაუწევს პირადი შემადგენლობით და სხვა. ამას შემდეგ მორიგი საქმეა სასოფლო-სამეურნეო კომუნების და სხვადასხვა ფორმის არტელების შექმნა საბჭოთა რუსეთის მაგალითის მიხედვით. [illegible] ყველა მომმართეს დახმარების აღმოსაჩენად მშრომელთა არტელების და კომუნების დაარსების—მსურველებს [illegible] ასეთ დაწყებულებას აუცილებლად ხელს შეუწყობთ სამეურნეო იარაღის მიწოდებით, თესლის მიცემით, ეკონომიურ დახმარებით და სხვა. ამავე დროს ნაჩვენები იქნება უპირატესობა სოციალისტურად მიწის დამუშავებისა. დარწმუნებული ვარ, რომ აგრარულ საკითხს ჩვენ გადავწყვეტთ მშრომელთა სასარგებლოდ სოციალისტური სახით. მართალია, არსებობს სიძნელე აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებისა, მაგრამ ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება საბჭოთა რუსეთისა.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან დასაარსებლად განზრახულ კომუნალურ განყოფილების შესახებ ამხ. მახარაძემ განაცხადა, რომ განყოფილების მიზანია ხელი შეუწყოს სოციალისტურ საფუძვლებზე სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად წარმოებას, ამგვარად მეურნეობის ხელმძღვანელობას და სხვა, რათა განვითარდეს სასოფლო მეურნეობის კოლექტიური ფორმა სა[illegible] დახვნისა, არტელებისა და სხვა სახით. განზრახულია განყოფილების შემწეობით მოეწყოს სოფლის კომუნალური მეურნეობა. განყოფილება ზეპირი და წერილობითი პროპაგანდით და აგრეთვე პრაქტიკული ზომებით, საქმით აჩვენებს, როგორ უნდა მოეწყოს მეურნეობა კომუნისტურ საფუძველზე.

ყოფილი საიჯარო მიწები, „გასაქირავებელი“ ადგილები საზღვრული და [illegible] გარდა, განაწილდება გლეხებს შორის იჯარის მოსპობით. მხოლოდ [illegible] მოიჯარადრეებს [illegible] არ [illegible] იჯარის [illegible]. [illegible] შესახებ ამხ. მახარაძემ სთქვა, რომ კოოპერატივები სახალხო [illegible] ხელ[illegible] თვით სახელმწიფო

დღეს ნომერში:

19 მარტს საბჭოთა ჯარები ბათომში შევიდნენ.

ყოფილი მენშევიკური მთავრობა საზღვარ-გარედ გაიქცა.

კ. პ. მე-10 სიეზდი. ლენინის სიტყვა.

18 მარტს რიგაში ხელი მოაწერეს რუსეთ პოლონეთის საზავო ხელშეკრულობას.

16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა რუსეთ ოსმალეთის ხელშეკრულობა.

რევკომის დეკრეტი თემების რევოლიუციონურ კომიტეტების შესახებ.

საუბარი რევკომის თავმჯდომარე ამხ. მახარაძესთან სასოფლო-სამეურნეო დარგში უახლოეს მიზნების შესახებ.

მიერ იქნება გამოყენებული წითელ არმიელების, მუშების, გლეხების და მათი შვილებისთვის სანატორიუმის მოსაწყობად,—შეეხო რა დაწვრილებით მესაქონლეობას და კერძოდ მეცხენეობას და მასთან დაკავშირებულ სოფლის მეურნეობის დარგებს, ამხ. მახარაძემ განაცხადა, რომ ყველა ეს განსაკუთრებით იქნება შესწავლილი იმ აზრით, რომ აღძრული საკითხები გადაწყვეტილ იქმნან საბჭოთა რეფორმების მიხედვით. დიდი ყურადღება იქნება მიქცეული მეურნეობაზე, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, რომელიც ღარიბია რძის მეურნეობით (ფერმებით). [illegible] დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს მესაქონლეების შესახებ, როგორც არიან ფშავლები და ხევსურები.

რაც შეეხება საცდელ და მაჩვენებელ სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, როგორც ბოტანიკურ ბაღებს, საცდელ მინდვრებს და სხვა, გადაწყვეტილი გვაქვს გადავაქციოთ ისინი სამაგალითო დაწესებულებებად. ხალხის მომარაგების საქმე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და იარაღებით დაყენებულია შედარებით კარგად, რადგან გვაქვს საკმაო რაოდენობა საჭირო იარაღებისა და მანქანებისა. ამას გარდა საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს მიიღოს საზღვარ-გარეთიდან შეკვეთილი მანქანები. გარდა ამისა ხალხს გაუწევთ ფართე შემწეობას სათესლე მასალით. ხალხისთვის სასარგებლო კულტურულ მამულებს [illegible] სახელმწიფო. იმაში ამუშავებენ უღარიბეს გლეხებს, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი მეურნეობის წარმოება, ინვენტარის უქონლობის გამო. შეეხო რა მევენახეობის და მეღვინეობის საკითხს ამხ. მახარაძემ განაცხადა, რომ ყურძნის კულტურას, როგორც ხალხის კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, მხარს დაუჭერთ, მხარს დაუჭერთ ჭაგრეთვე ამ კულტურასთან დაკავშირებულ სოფლის მეურნეობის დარგებს საბჭოთა მთავრობის რეფორმების მიხედვით. სახელმწიფო მამულების (ყოფილი საუფლისწულო მამულების) სარდაფების ღვინო მოხმარებულ იქნება უმთავრესად სამკურნალო მიზნით. რაც შეეხება ტყეებს, ესენი მოხმარებული იქნება საბჭოთა მეურნეობის სისტემის მიხედვით გლეხებს მიეცემათ ფართო უფლება ტყით სარგებლობისა თავიანთ მეურნეობისათვის. იქნება უცხოეთის კაპიტალიც მოვიხმაროთ ტყეების ექსპლოატაციისათვის, საბჭოთა რუსეთის მაგალითით. ტყეების დაცვა განადგურებისაგან მიენდო სამაზრო რევკომს. საუბრის დასასრულს ამხ. მახარაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საზღვარ-გარეთ აგრონომების, მეტყეების და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტების მომზადებას. ამ მხრივ გამოვიყენებთ საბჭოთა რუსეთის დიდ გამოცდილებას: რუსეთში დიდ წარმატებას მიაღწიეს აგრონომიულ განათლების საქმეში ახალ ტიპის სკოლების დაარსების საშუალებით.

შეთანხმება სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ.

მოგვყავს სრული ტექსტი შეთანხმებისა სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ დემოკრატიულ მთავრობისა და ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტს შორის.

საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის რწმუნებული გრ. ლორთქიფანიძე და საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის რწმუნებული მამია ორახელაშვილი 1921 წლის მარტის 17 და 18-ს შეხვდნენ ერთმანეთს ქალ. ქუთაისში და რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით და იმავე რესპუბლიკის მეორე წარმომადგენლის ალექსანდრე სვანიძის მონაწილეობით შეთანხმდნენ შემდეგში:

1) სამხედრო მოქმედება დაუყოვნებლივ შეწყვეტილ იქმნას.

2) დემოკრატიული მთავრობა აუქმებს თავის ფრონტს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ანთავისუფლებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და ხელს უწყობს რევოლიუციონურ კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარების, ბათომის ოლქში შესვლას ამ ოლქის დასაჭერად და დასაცავად გარეშე მტრების შემოსევისაგან.

3) სარევოლიუციო კომიტეტის საბჭოთა ჯარების ნაწილები, გაივლიან რა ბათომს, პირველ ყოვლისა დაიჭერენ ამ ოლქის სამხრეთ საზღვარს.

4) 25 მარტამდე და არა უგვიანეს ამისა ქალაქ ბათომში, მის რაიონში და რკინის გზის ხაზზე საჯავახო-ბათუმამდე და საზოგადოთ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ეხლა უჭირავს დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ადმინისტრაცია და ძალა-უფლება ამ უკანასკნელისა.

5) რევოლიუციონურ კომიტეტის ჯარები შედიან ბათომში, როგორც დემოკრატიული მთავრობის და მისი ჯარის მეგობრული ძალა.

6) დემოკრატიულ მთავრობის და რევოლიუციონურ კომიტეტის ჯარების საერთო მიზანშეწონილ და საჭირო მოქმედების საკითხი ბათომის ოლქის გარეშე მტრებისგან დაცვის შესახებ, გადაწყვეტილი იქნება ორივე არმიის სარდლობის მიერ.

7) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არმიის და გვარდიის დათხოვნა მოხდება ამ არმიის და გვარდიის სარდლობის განკარგულებით.

8) იმავე სარდლობის განკარგულებით ჩამორთმეული იარაღი და სამხედრო საჭურველი გადაეცემა საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტს.

9) ტანისამოსი, რომელიც მოეპოებათ ჯარის-კაცებს, გვარდიელებს და ოფიცრებს, სათანადო დადგენილების ძალით რჩება იმათ საკუთრებათ.

10) ყველა სამხედრო პირი მიიღებს კუთვნილ ჯამაგირს და გვარდიის დათხოვნის შემდეგ:

11. ჯარის და გვარდიის სარდლობის განკარგულებაში გადაეცემა შესაფერისი რიცხვი ვაგონებისა და ორთქმავლებისა ჯარის კაცების, გვარდიელების, ოფიცრების და იმათი ოჯახების სახლში დასაბრუნებლად.

12) საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი უზრუნველყოფს ყველა სამხედრო მოსამსახურის ბინას და პირად ქონებას. რისთვისაც საქართველოს რევკომი შესაფერ დახმარებას აღმოუჩენს თავის სასამართლო და ადმინისტრატიული ორგანოების საშუალებით.

13) სახელმწიფო ქონება, იარაღი, ორთქმავლები, ისტორიული და კულტურული საუნჯე და ყველა დანარჩენი-რაც გადაეცემა რევკომს, რჩება საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებათ.

14) საქართველოს რევკომი 1921 წლის თებერვლის 25-ს თავისი ამნისტიის დეკრეტის დამატებათ ადასტურებს, რომ არ იქნებიან პასუხისმგებელნი და არც სასამართლო ან ადმინისტრატიული წესით დევნილნი, დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ მოღვაწეთაგანი არც სამხედრო მოსამსახურეთაგანი, დაწყებული ჯარის კაციდან და გათავებული მთავარსარდლით, გვარდიელები, გვარდიის აფიცრები და შტაბების წევრები, არც ერთი ადმინისტრაციის მოხელე და საზოგადოთ არავინ იმათგანი, ვისიც მოქმედება გამომდინარეობდა მათი სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობისაგან. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ იმ მოქმედებებზე, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ამ. შეთანხმების ძალაში შესვლამდე.

15) რევკომი ხელს უწყობს, რომ ყველა ლტოლვილი თავისუფლად და საჩქაროდ დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილს.

16) საქართველოს მოქალაქენი—სამხედრო მოსამსახურენი, ჯარის კაცები. თანამდებობის პირნი და ოფიცრები სამხედრო ბეგარას მოიხდიან მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

17) ეს შეთანხმება ძალაში შედის დღიდან ხელის მოწერის.

საქართველოს რევკომის რწმუნებული **მამია ორახელაშვილი**, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რწმუნებული **გრ. ლორთქიფანიძე**. რ. ს. ფ. ს. რ. განსაკუთრებული რწმუნებული **აბელ ენუქიძე**.

ქუთაისი, მარტის 18 1921 წ.

კომპარტიის მე-10 ყრილობა.

ლენინის მოხსენება ნატურალურ გადასახადზე.

მოსკოვი, 16 მარტი. (რადიო) **უნდა დაკმაყოფილებულ იქნენ მიწის მომუშავენი.** „დაბეგვრის ნატურალური გადასახადით შეცვლის საკითხი“—ამბობს ლენინი—წარმოადგენს უფრო პოლიტიკურ საკითხს, რადგანაც იგი ეხება მუშათა კლასის და გლეხობის შორის ურთიერთობას რომელიც განსაზღვრავს მთელი ჩვენი რევოლიუციის ბედს. ამიტომაც ეს საკითხი უნდა განხილულ იქნას დიდის ყურადღებით. ჩვენ უნდა ვეცადოთ დავაკმაყოფილოთ გლეხების მოთხოვნილებანი, რომელნიც არ არიან კმაყოფილნი და კანონიერი უფლებაც აქვთ ამისა. როგორ უნდა მოვახერხოთ ეს? წვრილი 'მეურნის დაკმაყოფილება შესაძლებელია ორი საშუალებით: პირველი, თავისუფალი აღებ-მიცემობის ცნობით, რომელიც საჭიროა წვრილ კერძო მესაკუთრეთათვის, და მეორე, საქონლით და ნაწარმოებით. როგორ განვახორციელოთ ეს? ყველაზედ მეტ საკითხებს იწვევს ის მუხლი რომელშიაც ნათქვამია, რომ გაცვლა გამოცვლა შეიძლება ადგილობრივ მეურნეობის ტრიალის ფარგლებში. პასუხს ამ საკითხზე ჩვენ მივიღებთ ჩვენი კანონმდებლობისაგან. ჩვენ აქ, ყრილობაზე საკითხი პრინციპიალურად უნდა გადავწყვიტოთ და ვაუწყოთ ამის შესახებ გლეხობას, რადგანაც თესვის დრო კარზეა მომდგარი. შემდეგ ჩვენ უნდა ავამოძრაოთ მთელი ჩვენი აპარატი, ყველა ჩვენი თეორეტიული ძალები და მთელი ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, რომ გამოვარკვიოთ, თუ როგორ გავაკეთოთ ეს. ჩვენ რომ შეგვეძლოს რამოდენიმე საქონლის მიღება და მისი სახელმწიფოს მიერ ხელში ჩაგდება, ჩვენ გაუშვებდით ამ საქონელს წარმოებაში. ჩვენ, როგორც სახელმწიფო, პოლიტიკურ ხელის-უფლებას შევუერთებდით ეკონომიურ ხელისუფლებას. ამ საქონლის წარმოებაში გაშვება გამოაცოცხლებს წვრილ მიწის მუშაობას, რომელიც ეხლა ძლიერ შემცირდა ომის გამო. საჭიროა წვრილი მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა თუ ეს წარმოება მისცემს სახელმწიფოს იმდენ პურს, რომელიც საკმარისი იქნება ქალაქისა და მრეწველობისათვის, მაშინ ეკონომიური მდგომარეობა უმჯობესდება ისე, რომ სახელმწიფოს ხელისუფლება გამტკიცდება“.

ადგილობრივი აღებ-მიცემობა დაშვებია.

„პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ როგორ შესაძლებელია თავისუფალი ადგილობრივი აღებ-მიცემობა, რომელიც არა თუ აფერხებს, არამედ განამტკიცებს კიდევაც პროლეტარიატის პოლიტიკურ ხელისუფლებას. პროლეტარიატს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში სდგას, შეუძლია აწარმოოს თავის სურსათის აღებ-მიცემობა და ამით დაიკმაყოფილოს თავი, როგორც საშუალო გლეხმა“.

კოოპერაცია სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული.

ადგილობრივ სამეურნეო აღებ მიცემობის დროს ჩვენთვის საჭიროა კოოპერაცია. ჩვენი პროგრამა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განაწილების საუკეთესო აპარატათ ითვლება კოოპერაცია, რომელიც უნდა დაცულ იქმნას. დღემდე კოოპერაციით ვერ ვისარგებლეთ კარგათ, ზოგი შეცდომით და ზოგიც სამხედრო საჭიროების გამო, რადგან ჩვენ გვჭირდება ბრძოლა ესერებსა და მენშევიკებთან, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უწყობდნენ კაპიტალიზმის აღდგენას და [illegible] უსაქმურობას კოოპერაციის [illegible] ლენინმა შემდეგი რეზოლიუცია წარმოადგინა:

რეზოლიუცია კონფერენციის შესახებ.

რადგან რ. კ. პ. მე-6 ყრილობის რეზოლიუცია კოოპერაციის შესახებ შეიცავს წინანდელ დაბეგვრის პრინციპს, რომელიც ეხლა შეცვლილია ნატურალური ბეგრით. რ. კ. პ. მეათე ყრილობა ადგენს აღნიშნული რეზოლიუცია გაუქმდეს. ყრილობა ანდობს ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშავოს და გაატაროს პარტიულ საბჭოს წესით დადგენილებანი, რომლებიც გააუმჯობესებენ და განავითარებენ კოოპერატივთა აღმშენებლობას და მოქმედებას რ. კ. პარტიის პროგრამის ნატურალური გადასახადით შეცვლის მიხედვით.

სამარცხვინო ბოლო სამარცხვინო მთავრობისა.

საქართველოს ყოფილი მთავრობა ბათომიდან გაიქცა სტამბოლისაკენ საფრანგეთის გემით და თან გაიტაცა დიდი სახალხო ქონება, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტები და სხვა ნივთები, დოკუმენტები, რომლებიც სახალხო განძს და სიმდიდრეს შეადგენენ და რომელთა დაწვა ან გაფუჭება მათ ვერ მოასწრეს,—ასეთია უკანასკნელი ცნობა ბათომიდან. აშკარა უნდა იყოს [illegible], რომ ამ ამბავმა ყოველი შეგნებული მუშა და ყოველი გაგებული გლეხი უნდა აღაშფოთოს. მაგრამ მეორე მხრით ისიც აშკარაა, რომ მენშევიკების ყოფილ მთავრობას აქ საქართველოს ტერიტორიაზე, აღარ ედგომებოდა, ვინაიდან მისი მოღვაწეობა ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დამყარებული იყო მარტოოდენ სიცრუეზე, დატყუილებაზე და სისტემატიურ ღალატზე.

ბ. ბ. ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა საქართველოს მშრომელი ხალხის ღალატით დაიწყო თავისი არსებობა და ამავე ღალატით დალია მან თავისი დღეები. მან უღალატა სახელმწიფოს და ხალხის ბედი, მან ფეხქვეშ გასთელა ხალხის ინტერესები; ყოველივე ეს მან [illegible] შესწირა თავის პირად, [illegible] ჯგუფურ ინტერესებს. ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა კარგათ უწყოდა, რომ თუ გაიცნობდა ხალხი გაი[illegible] და საქართველოში მუშების [illegible] მთავრობის სათავეში ველარ დარჩებოდენ. იმდენათ დიდი იყო მათი დანაშაული ხალხის წინაშე, რომ იმათ თითონ იგრძნეს თავისი დანაშაულთა მთელი სიმძიმე და არჩიეს თავის თავისთვის ეშველათ სამშობლოდან სამარცხვინო გაქცევით.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც ეყრდნობა მშრომელთა ხალხის ნებისყოფას და რომელიც სრულებით არ საჭიროებს შურისძიების პოლიტიკას დაადგეს ყოფილ მთავრობის წევრების წინააღმდეგ, თავის მოვლინების მეორე დღესვე საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ მენშევიკების მთავრობა და მენშევიკების პარტია წინეთ ჩადენილ დანაშაულობათა პასუხისმგებლობიდან თავისუფალი არიან, უკეთუ შესწყვეტენ უაზრო ომს და სისხლის ღვრას და იცნობენ ნამდვილ სახალხო ხელისუფლებას. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ კიდევ მიმართა რადიო-დეპეშით ყოფილ-მთავრობას, როცა მისი საბოლოო დამარცხება უკვე ყველასათვის აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ მას შეეწყვიტა ყოვლად უაზრო სისხლის-ღვრა, და კიდევ ერთხელ ჰპირდებოდა სრულ უზრუნველყოფას წინანდელ დანაშაულთა პასუხისმგებლობისაგან და პირად შეუვალობას.

მერე როგორ უპასუხა ასეთ გულწრფელ წინადადებაზე ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ? ერთი მხრით ის [illegible] სახალხო ქონების გაზიდვას, და [illegible] რის გაზიდვის შეძლებაც არ ქონდა, მის განადგურებას, გაფუჭებას; მეორე მხრით, მან მიმართა დახმარებისთვის ინგლის-საფრანგეთის მტაცებლებს, რომ იმათ მოეშველებიათ თავისი ჯარები. ასე მოქმედებდენ ისინი იმ დროს, როცა იმათი საქმე უკვე წაგებული იყო, როცა ისინი ხალხისგან სრულიად განმარტოებული და გარიყული შეიქნენ. ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ ვერ შესძლო ერთი წუთითაც კი ხალხის კეთილდღეობის, ხალხის ინტერესების დაცვის თვალთახედვის წერტილამდე ამაღლებულიყო. ეს იყო არა მარტო ჯიუტობა, ეს იყო სრული დაბრმავება.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ ჩაიდინა კიდევ ამაზე უფრო სამარცხვინო და უფრო აღმაშფოთებელი მოქმედება. ვინ არ იცის, თუ როგორ ხმაურობდენ ეს ვაჟბატონები საქართველოს მთლიანობაზე, თუ რა ალიაქოთი ასტეხეს ბათომის საკითხის გარშემო. ნუ დაივიწყებთ, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებას ომის შეწყვეტის შესახებ ის გარემოებაც ქონდა საფუძვლათ, რომ ომის გაგრძელება დიდ საფრთხეს უმზადებდა საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას. ჩვენ ამ საფრთხეზე პირდაპირ უთითებდით ჟორდანია-რამიშვილის ყოფილ მთავრობას. მერე რა მოხდა?

ამ დროს, როცა საბჭოთა მთავრობის მთელი ყურადღება ამ საკითხისაკენ იყო მიქცეული, თურმე ნუ იტყვით, ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა ანგორის მთავრობასთან ახდენდა შეთანხმებას ბათომის დასაკავებლათ ოსმალეთის ჯარების მიერ. ვის ინტერესებს იცავდენ ამ სამარცხვინო ხელშეკრულებით ანგორას მთავრობასთან მენშევიკები? აშკარაა, არა ხალხის, არა საქართველოს მთლიანობის, არამედ თავის პირად ინტერესებს, რომ რათაც არ უნდა დაჯდომოდათ შეენარჩუნებიათ თავისი მდგომარეობა. მაგრამ თვალთმაქცობა და ფარისევლობა მენშევიკების ბელადებისა მივიდა იმ ზომამდე, რომ როცა იმათ შეთანხმება ანგორის მთავრობასთან უკვე მოხდენილი ქონდათ, შემდგომ ამისა ისინი იწყებენ მოლაპარაკებას ჩვენთან ზავის ჩამოგდების თაობაზე. სამწუხაროთ, იმათი ეს უკანასკნელი ღალატი, ანუ ანგორასთან შეთანხმება ბათომის დაჭერის შესახებ ჩვენ გავიგეთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოლაპარაკებაზე ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ. იბადება კითხვა: რისთვის მოგვმართა ჩვენ მენშევიკების მთავრობამ ზავის ჩამოსაგდებად და შეთანხმების მოსახდენათ? ნუ თუ მართლა ისინი ფიქრობდენ ჩვენთან შეთანხმებას? დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ როცა ისინი ბ. ლორთქიფანიძეს 'გზავნიდენ ქუთაისში ჩვენთან მოსალაპარაკებლათ, იმათ მხოლოდ ერთი აზრი ქონდათ: მოიგონ დრო, დააგვიანონ ჩვენი ჯარების შესვლა ბათომში და შესძლონ ბათომიდან გაპარვა.

საქმე იმაშია, რომ ანგორის ჯარების ბათომში შემოყვანამ თვით მენშევიკების ერთგულ ჯარისკაცებსაც კი აუხილა თვალი თავის ბატონების ნამდვილ სულის კვეთებაზე, დაარწმუნა ისინი მათი თვალთმაქცობაში და ფარისევლობაში, თუ რა ყოფილა იმათი [illegible] იმათი ფიცი საქართველოს მთლიანობის დაცვის შესახებ. საქმე მივიდა იქამდის, რომ მენშევიკების ყოფილი მთავრობა ასკერების მფარველობის ქვეშ გაიქცა ბათომიდან და ქართველი ჯარის ნაწილები კი, რომლებიც ბათომში იმყოფებოდენ, საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში გადავიდნენ.

ასეთია სინამდვილე. ახლა თვით მკითხველმა გამოიყვანოს აქედან დასკვნა. ერთი კი აშკარაა: საბჭოთა რუსეთმა ჯერ კიდევ გასულ წელს სცნო საქართველოს სახელმწიფოს სრული სუვერენობა და მთლიანობა, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა საქართველოს განაგებდენ ჩვენი მტრები—მენშევიკები. აშკარაა, დღეს, როცა საქართველო წარმოადგენს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, ეს ცნობა ათას წილათ უფრო რეალური ხდება.

ფ. მახარაძე

სად ვიშოვოთ საქონელი

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა საერთაშორისო მასშტაბით გაუმჯობესდა. საქონლის ნაწილის მიღება ჩვენ შეგვიძლია ეხლა საზღვარ-გარეთიდან. რამოდენიმე ასი ათასი ფუთი სურსათი უკვე ნაყიდია და სასწრაფოდ მოდის რუსეთში ლიტვით, ფინლიანდიით ლატვიით. დღეს მივიღეთ ცნობა, რომ ლონდონში ნაყიდია 18 1/2 მილიონი ფუთი ნახშირი, რომელიც უნდა მოხმარდეს პეტროგრადისა და საფეიქრო მრეწველობას. ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში შვიდი წლის ომის შემდეგ საჭიროა ეკონომიური შესვენება. რომელსაც მივაღწევთ ზოგჯერ პროგრამის დოგმების დროებით გვერდის ახვევით.

უნდა დაკმაყოფილდეს საშუალო გლეხობა.

თუ სახელმწიფო მიიღებს აუცილებელ მანქანებს და მოაწყობს ფართო მასშტაბით ელექტროფიკაციას, მაშინ მუქთა-ხორები შესამჩნევად მოისპობა, სანამ კი ეს არ არის, უნდა მიეცეს მათ საქონლის განსაზღვრული რაოდენობა. თუ საქონელი სახელმწიფოს ხელშია, მისი ხელისუფლება ძლიერდება, მაგრამ აღებ-მიცემობის შეჩერება და მოსპობა ნიშნავს საშუალო გლეხობის დაუკმაყოფილებლობას. იმის შიში, რომ გაცვლა-გამოცვლა ინდივიდუალური გახდება, არ უნდა გვქონდეს. ყველა შესძლებს მისცეს სახელმწიფოს რაიმე გასაცვლელად. ჩვენ ეკონომიურათ უნდა დავაკმაყოფილოთ საშუა გლეხობა და დავადგეთ აღებ-მიცემობის თავისუფლების გზას, რომ პროლეტარიატის ხელისუფლებ განმტკიცდეს. ბეგარა აიძულებს გლეხს გააუმჯობესოს მეურნეობა. როდესაც ძალიან გვიჭირდა, ჩვენ მთელ ჭირნახულს ვაგროვებდით, ეხლა კი ნატურალურ ბეგრის და თავისუფალ აღებ-მიცემის სისტემას მივმართავთ.

მოსკოვი. 16 მარტი. (რადიო) ეს გლეხისთვის ხელსაყრელი იქნება ის მოუმატებს თესვას და გააუმჯობესებს თავის მეურნეობას, რადგან მას გარდა ბეგარისა არაფერს მოსთხოვენ და ესეც წინათვე განსაზღვრული და ნავარაუდევი იქნება. ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკა საშუალო ეკონომიის მიხედვით, რომელიც 3 წლის განმავლობაში ვერ შევძელით გარდაგვექმნა. ჩვენ შეგვიძლიან დღეს შეუთანხმდეთ გლეხს და მასთან ვაწარმოოთ საქმე ფრთხილად და მეტად მუყაითად. ყრილობა ბევრ მიზეზს იძლევა, რომ წვრილ მიწის მფლობელმა ბევრნაირად გაიუმჯობესოს თავისი მეურნეობა და გააფართოვოს ხვნა-თესვა.

საბოლოო სიტყვა ამხ. ლენინისა, წარმოთქმული რ. კ. პ. მე-10 ყრილობაზე.

მოსკოვი. 17 მარტი. (რადიო). ამხ. ლენინი იწყებს თავის საბოლოო სიტყვას კოოპერაციის საკითხით: როგორი წესით განვითარდება დამოკიდებულება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. (დამახინჯებულია)... სამეურნეო აღებ-მიცემობის, კოოპერაციის და წვრილ მესაკუთრეების აღორძინების გზით საძნელოა ეხლა დამყარდეს. ეს საკითხი უსათუოდ უნდა იქნეს განხილული. ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ადგილობრივ გამოცდილებას. კოოპერაცია წვრილ მეურნეობასთან და ვაჭრობასთან შედარებით, არის მხოლოდ საქმის ფორმის შეცვლა, მაგრამ საშუალებანი კოოპერაციაზე სისტემატიურ ზეგავლენის კონტროლისა კომუნისტებს ექნებათ ყოველთვის მეტი. აუცილებელია კოოპერატივების მოქმედების გაფართოება. შეცვლა ბეგრისა გადასახადით... (დამახინჯებულია)... უფრო მისაღებია გლეხებისათვის. ამაზე ორი აზრი რომ ქონდეთ კომუნისტებს, შეუძლებელია. ამის შესახებ გვაქვს მთელი რიგი განცხადებათა, შემოტანილი უპარტიო გლეხთა მიერ. ამის წყალობით უნდა მიღებულ იქნას ესეთი ცვლილება. (ამხ. ლენინი ხელმეორედ აქვეყნებს კოოპერატივების მოქმედების გაფართოების რეზოლიუციის პროექტს.)

მოსკოვი. მარტის 20. ლენინის საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვის წინ. მდგომარეობა რესპუბლიკაში.

დამთავრებულმა იმპერიალისტურ ომის შემდეგ, სამოქალაქო ომმა, რომელმაც რამოდენიმე წელი გასტანა, დაგვანახა, რომ ქვეყნის გამოცოცხლება სწარმოებს ძალიან ძნელ პირობებში. მაგრამ ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ ჩვენმა მხარემ განიცადა უფრო მძიმე მომენტი. კომუნისტური პარტია პროლეტარიატის ბურჯია. არ არსებობს მეტი ძალა, გარდა კომუნისტურ პარტიისა, რომელსაც შეეძლოს აუარებელ წვრილ მიწის მუშათა შეერთება, რომლებიც ზოგჯერ დიდ გაჭირვებას განიცდიან. მოწინავე მუშათა შეკავშირება, რომლებიც კომუნისტურ პარტიით არიან გაერთიანებულნი, შეგვაძლებინებს გაუმკლავდეთ მძიმე განსაცდელს.

მოპყრობა გლეხობისადმი.

იმ მუშათა კლასის მიზანი, რომელსაც მსხვილი მრეწველობა უპყრავს ხელში, არის გლეხობის სრული დაკმაყოფილება ისე, რომ გლეხები გრძნობდნენ განსხვავებას კაპიტალისტურ წესწყობილებისაგან, მაგრამ ჩვენ ახლა, გაჭირვების გამო, ბევრს ვერ ვაკეთებთ. მიუხედავათ ამისა, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა დავეხმაროთ წვრილ მიწის მუშას და მივცეთ გლეხს უკეთესი პირობები მეურნეობისთვის.

ყრილობის ერთსულოვნება.

ყრილობაზე ყველა გადაწყვეტილება ერთხმათ იქნა გამოტანილი. ეს არის ყრილობის ნაყოფიერ მუშაობის საწინდარი პროლეტარიატის სასარგებლოთ.

მსოფლიო კაპიტალის მატყუარობის კამპანია.

მსოფლიო კაპიტალი და მისი გამყიდველი პრესა გაბოროტებულნი ცილს სწამებენ საბჭოთა რუსეთს და ავრცელებენ ყალბ ცნობებს, ვითომცა მოსკოვის ქუჩებზე დაღვრილ სისხლის შესახებ. ეს გაზეთები იტყობინებიან, რომ კრემლზე, სადაც ჩვენი სხდომებია ეხლა, თეთრი დროშა ფრიალებს. მაგრამ ასეთი ცილისწამება, განაგრძობს ლენინი, საზღვარ-გარეთაც კი, თითქმის არავის სჯერა.

პარტიის ერთსულოვნება—გზაა გამარჯვებისაკენ.

გაერთიანდით რა ამ ყრილობაზე, ათავებს ლენინი, ჩვენ მართლაც შეკავშირებული ვიქნებით ამ ყრილობის შემდეგ. პარტია უფრო გაძლიერდება და მიაღწევს მტკიცე საერთაშორისო გამარჯვებას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტისა თემის რევოლიუციონურ კომიტეტების შესახებ.

1. ორგანიზაცია თემის რევკომისა.

1. თემის რევკომი წარმოადგენს მართვა-გამგეობის უმაღლეს ორგანოს იმ რაიონის საზღვრებში, რომელსაც იგი განაგებს.

2. ყველა დადგენილება კანონის ფარგლებში თემის რევკომისა სავალდებულოა ამავე თემის მცხოვრებთათვის.

3. თემის რევკომები არსდება იმ ფარგლებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ითვლება არა ნაკლებ 300 და შესდგება 3 წევრიდან.

შენიშვნა: 1. სამაზრო რევკომს უფლება ეძლევა გაამრავლოს ან შეამციროს საჭიროების დაგვარად საერთო სახელმწიფოებრივ მაშტაბით ნაჩვენებ პარაგრაფში მცხოვრებთა რიცხვი, რასაც აუწყებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

4. თემებში, სადაც მცხოვრებნი სამასზე (300) ნაკლებია, ცალკე თემის რევკომი არ არსდება. ასეთი თემები უერთდებიან მეზობელ თემებს.

5. თემის რევკომის თავმჯდომარე პასუხის მგებელია თავის მოქმედებაში საბჭოთა მთავრობის უმაღლეს ორგანოს წინაშე.

6. თემის რევკომთან არსდება კანცელიარია შემდეგი შემადგენლობით: მდივანი—1, საქმის მწარმოებელი—2, კანტორის მოხელე—1, დამტარებელი—1. ასიგნოკები ამ შტატის დასაკმაყოფილებლად შეტანილი იქნება შ. ს. კომისარიატის ვარაუდში.

2. ვალდებულებანი თემის საბჭოს მართვა-გამგეობისა.

7. თემის რევკომი და მისი თავმჯდომარე ვალდებულნი არიან: ა) შეასრულონ ყველა დადგენილებანი საბჭოთა მთავრობის უმაღლეს ორგანოსი და ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ მთავრობის დადგენილებებს მათზე დაკისრებულ საქმის ასრულებაში, ბ) მიიღონ ყოველივე ზომები წესიერების დაცვისათვის და თავისი რაიონების მცხოვრებთა მეურნეობის და კულტურის განვითარებისათვის, გ) მიაღებინონ მონაწილეობა მშრომელ მასსას ახალი ცხოვრების და წყობილების დამყარებაში.

თემის რევკომებს ევალებათ მართვა-გამგეობის დარგში შემდეგი:

8. დაცვა რევოლიუციონურ წესრიგისა და ბრძოლა ბოროტ-მოქმედებასთან.

9. გამოქვეყნება და განმარტება საბჭოთა მთავრობის ყველა დეკრეტებისა და განკარგულებებისა.

10. გატარება ცხოვრებაში შრომის ყოველგვარ ბეგარისა.

11. მცხოვრებთა აღნუსხვა, შეძლებულთა, საშუალო ქონებისა და უღარიბეს გლეხთა, აღნუსხვა ამრჩეველთა, წერა-კითხვის უცოდინართა და სხვა.

12. რეგისტრაცია უმაღლეს რევკომებიდან და მათი რომელიმე განყოფილებიდან გამოგზავნილ აგენტებისა.

13. გაცემა ყოველგვარ მოწმობებისა ადგილობრივ მცხოვრებთათვის.

14. რეგისტრაცია დაბადებულთა და მიცვალებულთა.

15. პასუხისგებაში მიცემა იმ მოქალაქეთა, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ ან დაარღვევენ საბჭოთა მთავრობის განკარგულებას.

სასოფლო მეურნეობის დარგში.

16. ხელის შეწყობა სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის (ორგანიზაცია სასოფლო მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და მიწით სარგებლობის სხვა საამხანაგო ფორმებისა, გაუმჯობესება სასოფლო მეურნეობის წარმოებისა და სხვა, მიწათ-მოქმედების კომისარიატისგან გამოცემულ ინსტრუქციის თანახმად.)

17. განხორციელება მიწის მწარმოებლებზე დაკისრებულ ნატურა-ურ ბეგრისა, მიწის სოციალისტურათ მოწესრიგებისათვის. (მიწოდება მიწის გამწესრიგებელთათვის საჭირო მუშებისა, ეტლებისა, მასალებისა, ბინებისა, მიწის და სხვა). და აგრეთვე ყოველგვარი დახმარება მათი და აგრონომიულ პერსონალის და მიწათ-მოქმედების განყოფილებაში მომუშავე პირთ, მათი მოვალეობის ასრულების დროს.

18. დახმარება ადგილობრივ მეურნეობის და დაცვა სატყეო აგარაკებისა.

19. თვალ-ყურის დევნა, მიწის მომუშავეთა მიერ შესრულებულ იქნეს გამოცემული კანონები და განკარგულებანი მიწის დამუშავების და მის ხმარების შესახებ.

20. დახმარების გაწევა სათანადო ორგანიზაციების და აღნუსხვა მიწის მომუშავეთა სახნავის, სათესის და ყოველივე სამეურნეო ინვენტარის; წარდგენა აღნიშნულ საკითხების შესახებ ყოველივე მასალებისა დანიშნულ პირთა და დაწესებულებათათვის.

მეურნეობის დარგში.

21. თვალყურის დევნა ხიდების, გზატკეცილების და სოფლის გზების მდგომარეობის შესახებ და შეკეთება მათი, გარემოების მიხედვით.

22. თვალყურის დევნა ცეცხლის მქრობელ მანქანისა და ღონისძიებათა მიღება ცეცხლის ჩასაქრობათ.

23. დაცვა წახდენისა და განადგურებისაგან საზოგადო სახლებისა.

24. დახმარება შინაურ (კულტურულ) წარმოების განვითარებისათვის და შეძლებისდაგვარად თავის მოყრა ადგილობრივ ს. ხელოსნებისა, არტელებისა და სხვა. თანახმათ საბჭოთა მმართველობის პასუხისმგებელ ორგანოების განკარგულებისა.

25. სასურსათო დარგში დაუყოვნებლივ შესრულება ყველა სასურსათო ორგანოების განკარგულებათა.

26. აღწერა მოსავლისა, ნათესისა.

სამხედრო დარგში.

27. აღნუსხვა ყველა ცხენებისა, ეტლებისა და მათი მოწყობილებისა, თანახმათ არსებულ კანონებისა.

28. თვალყურის დევნა სამხედრო ბეგარის მოხდის ვალდებულ მოქალაქეთა თავისი მოვალეობის წესიერად შესრულების შესახებ.

29. შეკრება სტატისტიკური ცნობების და ანგარიშებისა მოქალაქეთა ჯარში გასაწვევათ, და აგრეთვე ცხენებისა, ეტლებისა და მათი მოწყობილებისა, თანახმათ არსებულ კანონმდებლობისა და სამხედრო კომისარიატების განკარგულებათა.

30. მოქალაქეთა ჯარში გაწვევის სისრულეში მოყვანა და აგრეთვე წარდგენა ჯარში ცხენებისა, ეტლებისა და მათი მოწყობილებისა, თანახმად არსებულ კანონმდებლობის და სამხედრო კომისარიატის განკარგულებათა.

31. თვალყურის დევნა მცხოვრებთა მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის აღსრულებაზე და ბრძოლა დეზერტირების წინააღმდეგ.

32. განხორციელება ყველა განკარგულებათა, რომელიც მიმართულია მშრომელთა საყოველთაო სამხედრო სწავლისაკენ.

33. ხელის შეწყობა სოფლათ გაგზავნილ ორგანიზატორებისა და აგიტატორებისა მცხოვრებთა სამხედრო მომზადების საქმეში.

36. დახმარება სამხედრო ორგანიზაციისადმი და ჯარის ნაწილებისათვის ბინებისა, სურსათ-სანოვაგისა და გადასატან-გადმოსატან საშუალებათა მიცემის, თანახმათ ამ საქმისათვის არსებულ კანონისა.

სახალხო განათლების დარგში:

35. ორგანიზაცია სოფლათ სამკითხველოსი (ანუ სახალხო საქმისა) ბიბლიოთეკა-სამკითხველოთა და მათთან საბჭოსი.

36. ორგანიზაცია სამკითხველოსთან (სახალხო სახლთან) გაზეთ-ბროშიურების საბჭოს მთავრობის დეკრეტებისა, საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის საჯაროდ წაკითხვისა და სხვა და საუბარი წაკითხვის შემდეგ.

37. გავრცელება გაზეთებისა, ფურცლებისა და სხვა.

38. დაარსება სამკითხველოსთან (სახალხო სახლთან) წერა-კითხვის სკოლებისა მოზრდილთათვის და მცირე წლოვანთათვის.

39. დახმარება სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა ორგანიზაციისა, მაგ. წრეებისა, ექსკურსიებისა, ლექციებისა და სხვა საგნებზე. მომღერალთა გუნდის და თეატრისა ადგილობრივ ძალების და სხვა.

40. სამნეო ზრუნვა დასაწესებლათ სკოლებისა ყველა წლოვანებისათვის და სკოლის გარეთ დარჩენილთა აღზრდა-განათლებაზე (შეკეთება, განათება, გათბობა და სხვა).

41. მოწოდება შეძლების დაგვარად ყველა ადგილობრივ წერა-კითხვის მცოდნეთა სავალდებულო ბეგარაზე და კულტურულ განმანათლებელ (შრომის ორგანიზაციის საქმეში.

სახალხო ჯანმრთელობის დარგში.

42. თვალყურის დევნა სისუფთავისა და სოფლის სანიტარული მდგომარეობისა, განსაკუთრებით სასმელი წყლის სათავეების მოწყობასა და გაუმჯობესობაზე.

43. გლეხობისათვის ხელის მოწყობა საზოგადოთ და კერძო აბანოების მოწყობაში.

44. დახმარება სამკურნალო პერსონალის და ზომების მიღება ეპიდემიასთან ბრძოლაში (აცრა სახადისა, ყვავილისა. ხოლერისა და სხვ.).

45. მზრუნველობა ადგილობრივ სამკურნალოებზე: შეკეთება, შეშის დამზადება, სურსათ-სანოვაგის მოწოდება და სხვა.

46 აღნუსხვა იმ გაჭირვებულ მშრომელთა, რომლებიც საჭიროებენ ადგილობრივ და სახელმწიფოსაგან დახმარებას.

47. ორგანიზაცია სავალდებულო სასოფლო - სამეურნეო დახმარებისა მინდვრის დამუშავებაში, დათესვაში და სხვა.

48. დახმარება წითელ არმიელების გაჭირვებულ ოჯახებს და აგრეთვე ავათმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელ ინვალიდებს, ფრონტიდან დაბრუნებულთ, იმ ორგანიზაციის საშუალებით, რომელიც მათ სასარგებლოთ აგროვებს შემოწირულებას: ფულს, ტანისამოსს, ფეხსაცმელებს და სხვა.

პასუხისმგებლობა სოფლის საბჭოს წევრებისა.

46. ურჩობისათვის, საბჭოს მთავრობის დადგენილებათა ცხოვრებაში უხალისოთ გატარებისათვის, უმოქმედობისათვის უფლების გადაჭარბების და ბოროტ-მოქმედებისათვის, მცხოვრებლებთადმი ტლანქად მოპყრობისათვის, სოფლის საბჭოს წევრი პასუხს აგებენ რევოლიუციის ტრიბუნალის წინაშე.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სოც. საბ. რესპ. შინ საქ სახალხო კომისარი **ბ. კვირკველია.**

ცენტრალურ კომისიას ევალება: მიწების დათესვის კამპანიის მოწყობა საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი მთელი ამ საქმისა, ხოლო სამაზრო კომისიებს გათვალისწინებული ზომების სისრულეში მოყვანა ადგილობრივად.

დადგენილება №

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა, [illegible] მიწების სავალდებულო დათესვის შესახებ.

რადგან 1920 წლის შემოდგომაზე უამინდობის მიზეზით მეტად მცირე რაოდენობის მიწები იქნა დათესილი და რომ თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უბედურება, რევოლიუციონური კომიტეტი საჭიროთ სცნობს დათესილ იქნეს, როგორც ის თავისუფალი ადგილები, რომელიც წარსულ შემოდგომაზე დაუთესელი დარჩა, აგრეთვე გაზაფხულზე დასათესი ყველა ანეულები.

ამ საქმის განხორციელებას საფუძვლად უნდა დაედოს ადგილობრივ მცხოვრებთა ფართე თვითმოქმედება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატთან დაარსებულია მიწების დათესი დროებითი ცენტრალური კომისია, რომელშიაც შედიან: საგრონომო დახმარების სექციის გამგე—ბ. ავალიშვილი სახელმწიფო მამულების გამგე—მ. ვასილიევი, სასოფლო მეურნეობის სპეციალისტი კ. ნაკაშიძე, ხოლო ადგილობრივად იქნება სამაზრო კომისიები.

ცენტრალური კომისია თავის მოქმედებაში უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგით:

1. უკლებლივ უნდა დაითესოს ყველა სახნავი ადგილები, მათ რიცხვიდან პირველ რიგში ნოყიერი, ხოლო შემდეგ დანარჩენი მიწები

2. მიწები უნდა დათესილ იქნეს იმ თესლით, რომელიც მცხოვრებთ აქვს დამზადებული, ხოლო იმათ, ვისაც სათესლე არ აღმოაჩნდებათ და არც მისი შეძენის საშუალება ექნებათ, შეიძლება იგი მიეცეს სესხად, იმ პირობით მხოლოდ, რომ მან ეს სესხი დააბრუნოს ჭირნახულის მოკრეფის შემდეგ.

3. საჭირო სათესლე მასალა უნდა შეძენილ იქნეს ნაღდ ფულზე სამაზრო კომისიების დახმარებით.

4. როგორც ცენტრალური, ისე სამაზრო კომისიები უნდა მოქმედებდნენ ადგილობრივ რევკომებთან და კომ. პარტიასთან შეთანხმებით, რომელნიც თავის მხრივ დახმარებას [illegible] მიწების დათესვის საქმეს.

5. მიწების დასამუშავებლად და სათესლე მასალის გასაწმენდათ უნდა გამოყენებულ იქნეს ყველა თავისუფალი სამეურნეო იარაღი და მანქანა.

6. ყველა ის, ვინც ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას წინ აღუდგება, ან საპატიო მიზეზების გარეშე უარს იტყვის დათესვაზე, ან სათესლე მასალას და თავისუფალ იარაღებს და მანქანებს დამალავს, მიცემულ იქნება სასტიკ პასუხისგებაში, რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

7. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისა და მისი განვითარებისათვის ამასთანავე გამოცემულ იქნება განსაკუთრებული ინსტრუქცია.

8. ყველა დაწესებულებათა და თანამდებობის პირთ წინადადება ეძლევათ ხელი შეუწყონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების საქმეს.

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე და მიწადმოქმედების სახალხო კომისარი **ფ. მახარაძე**, რევ[illegible]
ნი—**მ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მარტის 18 ს
საქართველოს ს. ს.

ბრძანება №

საქართველოს ს. ს.
მხედრო და საზღვაო ს
კომისრის მოადგილეთ
კვანტალიანი ევიფანე ა
საქართველოს ს. ს. რ
ვოლიუციონურ კომიტე
მარე ფ. მახარაძე.

ბათომის რევკომის წ
მტკიცებული არიან: გუბე[illegible], პევცოვი, თავბერიძე, რამიშვილი და მაზ[illegible]აძე.

ქუთაისის რევკომის თავმჯდომარეთ დამტკიცებულია დ. ლორთქიფანიძე; [illegible]ნის მოადგილეთ ვ. ბახტაძე.

საზღვარ-გარეთ.

საბჭოთა რუსეთი და [illegible]

[illegible] საბჭოთა რუსეთთან [illegible] რწმუნებული [illegible] ჟურნალისტი, თავის ლექციაში საბჭოთა რუსეთზე—ამბობს, რომ [illegible] დამოუკიდებელი და განმანათლებელი [illegible] საბჭოთა რუსეთის [illegible] ჟურნალისტ [illegible] რომ [illegible] არ შემოწმებ[illegible] [illegible] იგი თავის შეხედულებებში.

გერმანია ერთ ხურდასაც არ დაუთმობს მოკავშირეებს.

ნაუენი, 11 მარ. (რადიო) გერმანიის არც ერთი დელეგაცია არ მიუღიათ [illegible] გულ[illegible]ფილათ, როგორც მ[illegible]ის [illegible] იბ. რომელიც დაბრუნდენ ლონდონის კონფერენციიდან. ბერლინში სადგურზე [illegible] ხალხი ელოდებოდა დელეგაციას. მას შეხვდნენ ტაშისცემით და ნაციონალურ ჰიმნის სიმღერით. მთელ გერმანიაში გადასწყვი[illegible] არ დაუთმონ მოკავშირეებს.

საბჭოთა რუსეთში

საზავო ხელშეკრულება პოლონეთთან.

მოსკოვი, 19 მარტი. საბჭოთა საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ რიგაში იოფფემ ს. რ. ც. ა. კ. პრეზიდიუმს შეატყობინა, რომ მარტის 18 საღამოს ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას ერთის მხრით საბჭოთა რუსეთის და უკრაინას და მეორე მხრით პოლონეთს შორის.

საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან.

მოსკოვი, 19 მარტი. 16 მარტს მოსკოვში ხელი მოაწერეს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ამყარებს მეზობლურ და ძმურ ურთიერთობას ორივე ქვეყნის შორის. ხელშეკრულება ჩვენის მხრით ხელმოწერილია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ჩიჩერინის და ს. რ. ც. ა. კ. წევრის [illegible]მასოვის მიერ. ოსმალეთის მხრით ხელშეკრულებას ხელს აწერენ: ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების დელეგაციის წარმომადგენელი და სახალხო მეურნეობის სახალხო კომისარი იუსუფ-ქემალი, სახალხო განათლების სახალხო კომისარი რიზა ნური ბეი და საგანგებო ელჩი რუსეთში ალი ფუად ფაშა.

პარიზის კომუნის დღე.

მოსკოვი. 20 მარტი. 18 მარტს მოსკოვში, მუშათა რაიონებში, თეატრებში და კლუბებში გაიმართა დიდი მიტინგები პარიზის კომუნის დღის აღსანიშნავათ. მოხსენება გააკეთეს: რადეკმა, ლუნაჩარსკიმ, იაკოვლევამ და სხვ. მიტინგზე დაესწრო დიდძალი ხალხი.

პოლონეთის საზავო პირობები.

მოსკოვი, 20 მარტი. საზავო პირობების ძირითადი მუხლები სახელმწიფოს საზღვრების და სხვა კითხვების შესახებ, გამომუშავებულია წინასწარ ზავის დებულებებთან შეთანხმებით. ორივე მხარე ვალდებულია ეროვნებათა უმცირესობას მიანიჭოს ფართო უფლებები. ორივე მხარე ლაპარაკობს სამხედრო ხარჯების და ზარალის ანაზღაურებაზე, ურთიერთი ამნისტიაზე. რუსეთი და უკრაინა ვალდებულია გადაუხადოს პოლონეთს ოცდა ათი მილიონი მანეთი ოქროთი ერთი წლის განმავლობაში. რადგანაც პოლონეთი მონაწილე იყო ყოფილ რუსეთის იმპერიის სამეურნეო ცხოვრებისა, რუსეთმა და უკრაინამ უნდა დაუბრუნონ პოლონეთს ევაკუაციის დროს წამოღებული რკინის გზის ქონება 20 მილიონ მანეთისა. შეთანხმებული მხარეები მალე შეუდგებიან მოლაპარაკებას ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზის აღდგენის შესახებ და აგრეთვე სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამომუშავებას.

პარიზის კომუნის 50 წლის თავის აღნიშვნა თბილისში.

პარასკევი...

18 მარტი...

ეს დღე სამუდამოთ აღიბეჭდება თბილისის მშრომელი კლასის გულში.

რევოლიუციის წარსული, აწმყო და მომავალ პერსპექტივების გადმომშლელი [illegible] პრო[illegible]ში მეოთხე ძველი ქვეყნის [illegible] ველებთან ბრძოლის [illegible] ხლის დამ[illegible]ბი,— თბილისის ქუჩებში მრავალ [illegible] ილას გაკრული მხატვრული სურათები; დაძრული - თბილისის მშრომელი [illegible]ხიდან შემდგარი, - ურიცხვი პრო[illegible] ია, წყნეთის, ვერის დაღმართით, [illegible]ატინსკით, კახეთისა და პლეხანოვ[illegible] თავლის გრძელ თვალუწვდენელ [illegible] პერსპექტივით გამოშლილი, [illegible] ანდრეს სახელობის ბაღის ზედა [illegible] პარიზის ბრძოლაში დაღუპულ [illegible]უნართა 50 წლის ხსოვნის აღსანიშნავათ და'ადგამ ძველი'კენ მიმავალნი, [illegible] და უიარაღოთ, წითელი ლენტით გულზე ოდნავ მქროლავ ნი[illegible] [illegible] გრძელ წითელი დროშებით ხელში აღელვებულ აზვირთებულ ზღვას [illegible] და თვალწინ მაყურებელს.

[illegible] დღე ჩაითვლება პირველ, გულწრფელ, ნამდვილ დღესასწაულათ თბილისის მშრომელი კლასისთვის.

აქ მისი მტერი იგრძნობდა სრულ უძლურებას, დაკარგავდა ბრძოლის ყო[illegible] ხოლო კლასიური [illegible]ბი, თუ ზოგიერთი [illegible]ანებით გამხდარი სულით მაღლდე[illegible] იმედი, ბრძოლის [illegible]დათ. აქ არა სჩანდა ვინმე, ვინმეს ზე[illegible] იყო, ჩარეულიყო [illegible]რც ამას მენშევიკ[illegible] დაჩვეული; აქ იხა[illegible] [illegible] ყველა მონაწილეთა [illegible] სრული ბუნებრივი სიხარული; აქ არ იყო — მენშევიკთ [illegible] ან მილიციონერების მიერ [illegible]ები სიტყვებით ქუჩებში [illegible] მსვლელობის დროს წესრიგის [illegible]; აქ არ მოიპოვებოდა არავითარი შეიარაღებული, ბრძანებით გამკეთებული ძალა, ყოველმა ჯგუფმა იცოდა თავისი ადგილი, თავისი დანიშნულება; ყველაფერი თითქო მასით ეწყობოდა, არავინ არავის ხელს არ უშლიდა,— ეს უამრავი ხალხი განაგრძობდა [illegible] რევოლიუციონური სიმღერებით, [illegible] აღნიშნულ ადგილისაკენ. და [illegible] ერთხელ კიდევ დაუმტკიცა [illegible] და ჩვენს კლასობრივ მტრებს, რომ [illegible] კლასი, ბუნებრივათ არის [illegible] წყობის საფუძველზე შექმნილი დისციპლინ, რომელსაც ისინი ყოველთვის ასე სხვებისათვის უმტკივნეულოთ გამოიყენებენ, თუ კი ვინმე მტერი, რა თქმა უნდა ხელს არ უშლის.

შუა დღის 1 ს საათზე ალექსანდროვის ბაღის აღნიშნულ ადგილას ამხ. ფ. მახარაძის, ს. ორჯონიკიძის და ამერიკელ კომუნისტ ლევინსონის თანდასწრებით ამხ. გ. ნუცუბიძემ გახსნა მრავალ რიცხოვანი მიტინგი; მან მოკლეთ დაახასიათა ამ დღის მიზანი და მნიშვნელობა და შემდეგ მიტინგს გააცნო ორატორთა სია.

პირველათ გამოვიდა საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე — პროლეტარიატის კლასობრივ მტრებთან მრავალ ბრძოლაში გაჭაღარავებული ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელმაც აღგზნებულ კმაყოფილებაში აღნიშნა პარიზის ბურჟუაზიის მიერ მხეცურათ დახოცილ კომუნარების დიადი მსოფლიო ხასიათის ბრძოლა - ...ჩვენ საქართველოს კომუნისტები დიდ რუსეთის კომუნისტებთან ერთად ვთვლით მათ მემკვიდრეებათ თავს და გავაგრძელებთ მათ მიერ დაწყებულ ბრძოლას მანამდის, სანამ მსოფლიო ბურჟუაზიას საბოლოოდ არ დავამარცხებთ, არ შევქმნით არ დავამყარებთ საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკებს.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ს. ორჯონიკიძემ, ამერიკელ გაერთიანებულ კომუნისტების სახელით ამხ. ლევინსონმა, და ამხ. გ. ნუცუბიძემ.

ლაპარაკი იყო ქართულათ და რუსულათ.

3 საათზე მიტინგი დაიხურა.

ხევსტი.

ქრონიკა

◆ **ნავთის ნაწარმოების მარაგი.** 25 თებერვლიდან 15 მარტამდე ბაქოდან მოვიდა მატარებლებით შემდეგი რაოდენობა ნავთის ნაწარმოებისა: ნავთი 142,142 ფ. და კეროსინი 1864 ფ. 11 მარტიდან განახლდა კეროსინის გადაქაჩვა ნავთსადენით და 15 მარტამდე მიღებულია საქართველოს რკინის გზების სადგურ, სალოღლით 232,900 ფუთი. ნავთსადენი სალოღლიდან ახტაფამდე შეკეთებულია. ნავთსადენი ალთაქედიდან მცხეთამდე მზად არის მუშაობისათვის. ამ ჟამად შეუდგნენ ნავთსადენის შეკეთებას მცხეთიდან გორამდე.

◆ 17 მარტს საღამოთი ბათომში წავიდნენ კომპარტიის ბათომის კომიტეტის წევრნი, დატუსაღებულნი წარსულ წლის მაისში ინგლისელების მიერ და წაყვანილნი ბათუმიდან: ამხ. თუმანოვი, მახარაძე, გუბელი, თავბერიძე, პეცლოვი, რამიშვილი, ი. რამიშვილი, პატარიძე, პეტროვი, პერჩევსკი და კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბერძენიშვილი. ამათგან ბათომის რევკომის შემადგენლობაში შედიან ამხ. გუბელი, თავბერიძე და პეცლოვი.

◆ **რუსეთ საქართველოს საფოსტო კონვენცია.** ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილე კამარაული 19 მარტს საქართველოს სამხედრო გზით წავიდა კავკავს საფოსტო კონვენციის შესაკვრელად საქართველოს და რუსეთს შორის და ზოგიერთ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კავკავით ფოსტა ტელეგრაფის მუშაობის დაუყონებლივ დაწყებასთან.

◆ **მცხოვრებთა მომარაგება პურით.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის განცხადება. 22 მარტს შეწყვეტილ იქნება პურის მიცემა ხალხისთვის ნავთის ბარათებით. ქალაქის სასურსათო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა მოქალაქეთ, შეერთდენ საბინაო კომიტეტებში, წინააღმდეგ შემთხვევაში პურს ვერ მიიღებენ.

◆ **იუსტიციის სახალხო კომისარი** იღებს მთხოვნელებს სამსახურის გამო ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 11—12 საათ. კერძო პირებს 12—1 საათ. მსურველნი წინასწარ უნდა ჩაეწერნენ კომისარის პირად მდივანთან.

მუშათა ცხოვრება

მუშებს უფასო სასადილოები უნდა მოვუწყოთ.

უფასო სასადილოები მუშებისათვის— ეს, სადღეისო, მორიგი საქმეა, რაც კომუნისტური სიმტკიცით და სისწრაფით უნდა დავაგვირგვინოთ ახლავე.

კომუნიზმის იდეის მატარებელი—პროლეტარიატი — პირველი უნდა იყოს უზრუნველყოფილი და დაკმაყოფილებული პირველ საჭიროების მოთხოვნილებით.

ყველამ, და განსაკუთრებით მუშებმა, ძალიან კარგად იციან თუ რასაც წარმოადგენს მუშისათვის ბაზარი და ნიხრი. იმას გარდა, რომ მუშებს დრო არა აქვთ, რომ ნიხრზე რამე იყიდონ რადგანაც სპეკულიანტები და ვაჭრები ან სულ მალავენ საქონელს და ან სულ ცოტას რაიმეს გამოაჩენენ და ჰყიდიან ხელოვნურად ნელა და აუჩქარებლივ, რომ მოგაბეზრონ „კუდში“ დგომით და მით ხელი აგაღებინონ ნიხრზე რამის შესყიდვაზე. აგრეთვე მუშებს მატერიალური შესაძლებლობაც არა აქვთ რომ ნიხრზე რამის შეძენა მოახერხონ. ამ მხრივ მუშების ხელფასი ისეთი მცირეა და ვაჭრების და სპეკულიანტების მადა კი ისეთი უსაზღვრო, რომ მათ გაქანებულ ცხენითაც ვერ დაეწევი.

სასურსათო საქმე ჩვენ კომუნალურ საფუძველზე უნდა ავაშენოთ. ჩვენ ვებრძოლეთ ძალა უფლების ხელში ასაღებად, ჩვენვე უნდა ვიბრძოლოთ მისი ცხოვრებაში განმტკიცებისათვის. მსოფლიო ომმა და გუშინდელმა ჩვენმა ბატონებმა მენშევიკებმა ჩანთქეს და გაანიავეს ხალხის სიმდიდრე და ქონება. თავიანთ [illegible] ზრახვებს ანაცვალეს მუშების ოფლით აშენებული სამრეწველო იარაღები; გზები ტრანსპორტი სულ ერთიანათ დაგვინგრიეს. ყველაფერი ეს ახლათ უნდა გავაკეთოთ, ავაშენოთ. ამისათვის მუშები აამუშავებენ თავიანთ ნაკად, დაკოჟრებულ ხელებს და რაინდული თავგამოდებით აღადგენენ. ყველაფერს ისე, როგორც ეს შესძლეს ჩვენმა უფროსმა ძმებმა, მუშათა და გლეხთა ძალ უფლების მებაირახტრეებმა — რუსეთის პროლეტარებმა. ამის თვის მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მუშებს არა სცალიათ ბაზარზე სასიარულოთ, მათ, მუშებს, ყველაფერი იქ, გვერდით უნდა ჰქონდეთ, სადაც ისინი მუშაობენ, სჭედენ და აშენებენ ახალქვეყნის საფუძველს.

უფასო სასადილოები მუშებისათვის თვით სახელოსნოებში თუ არა, მის გვერდით, სულ ახლო დროში უნდა იქმნას მოწყობილი.

ამისათვის ერთნაირი აპარატიც კი არსებობს პურისა და სხვა სანოვაგის მიმღებ ჯგუფების სახით. აქაც, როგორც სხვა ყველაფერში, თვით მუშებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა. მუშების საქმე დღეს კეთდება და მუშების საქმე ხომ თვით მუშებმა უნდა აკეთონ! ჩვენ დღეს სათავეში გვიდგანან ბრძოლაში გამობრძმედილი ამხანაგები. ჩვენ სრული იმედით უნდა ვუყუროთ მათ, მაგრამ იგინი უძლურნი იქნებიან. თუ ჩვენ თვითონ არ ავამუშავეთ ჩვენი მუშური გონება და რევოლიუციონური ნებისყოფა. მენშევიკები ჩვენ ტვინს გვაცლიდნენ თავიდგან, რომ პროლეტარული აზროვნება დაგვეკარგოდა ხოლო დღეს სრული თავისუფალი და ბატონ-პატრონნი ჩვენი თავისა ჩვენა ვართ. ამისათვის საჭიროა მუშათა ფართო მასამ, მისმა ორგანოებმა, გამოყონ ენერგიული და პატიოსანი მუშაკნი, რომელნიც რევოლიუციონური სიმტკიცით და სისწრაფით ახლავე მოაგვარებენ მუშებისათვის უფასო სასადილოებს. ამ საქმეში ყველა ჩვენი უმაღლესი ორგანოები ხელს შეგვიწყობენ და მოგვცემენ საჭირო საშუალებას, როგორც ინვენტარით, აგრეთვე სანოვაგით და ბინით, მხოლოდ ვიმეორებ, ორგანიზაცია და მისი გაძღოლა თვით მუშებმა უნდა აიღონ ხელში და მით აქედანვე ჩაუყარონ საძირკველი კომუნიზმს, რითაც დავამტკიცებთ, რომ თბილისის პროლეტარიატს შესძლებია თავისი საქმის თვით კეთება და გაძღოლაც.

უფასო სასადილოები მუშებისთვის,— დღის წესრიგში უნდა დაისვას და დაუყონებლივ გადაიჭრას.

სანდრო იაშვილი.

მე-13 რაიონში

1921 წ. 13 მარტს, დილის 10 საათზე მოხდა მე 13-ტე რაიონის მცხოვრებთა მიტინგი: დამსწრე საზოგადოება თავმჯდომარედ ირჩევს ამხ მეგრელიძეს მოხსენებას დღევანდელ მომენტზე აკეთებს ამხ. ალექსანდრე ტიგიშვილი, რომლის მოხსენებას გულდასმით ისმენს დამსწრე საზოგადოება. ამხ. ლასინი მომხსენებლის სიტყვას სთარგმნის რუსულ ენაზე. შემდეგ სიტყვას აძლევს ამხ. მეგრელიძე,— [illegible] უხსნის საზოგადოებას მსოფლიო ომის დაწყების მიზეზს, და დიდი რუსეთის რევოლიუციის ისტორიას, მის მსვლელობას და როგორც შემდეგ საქართველოში,—სოციალისტ. საბ. წესწყობილების შემოღებას. ამხ. სიტყვების შემდეგ ამხ. ნ. ბობოხიძეს შემოაქვს რეზოლიუცია შემდეგი შინაარსისა:

„მოვისმინეთ რა ამხ. ალ. ტიგიშვილის მოხსენება და ამხ. მეგრელიძის სიტყვა მომენტის შესახებ, ქალ. თბილისის მე 31 ტე სამილიციო რაიონის თანამშრომლები და მცხოვრებნი, აღფრთოვანებით ვეგებებით საბჭოთა მთავრობის გამოცხადებას და გამოვსთქვამთ ამ აზრს, რომ ახალი საბჭოთა მთავრობა ნამდვილად მუშების და გლეხების ინტერესების [illegible] მივიღებთ [illegible] ქვამთ საქართველოს რევკომს მის პრესტიჟის ამაღლებას მშრომელ მასაში... გაუმარჯოს წითელ არმიის წინსვლას, რაც დაამყარებს საქართველოში პროლეტარულ დიქტატურას და გაანთავისუფლებს საქართველოს მშრომელ მასსას იმ მძიმე ბორკილებიდან, რომლსაც თავაზობს მას [illegible] შავი ანტანტა. გაუმარჯოს [illegible] რევოლიუციას! გაუმარჯოს მე-3 მე ინტერნაციონალს! გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!“.

ამ რეზოლიუციას კრება ერთ-ხმად ღებულობს და ტაშის კვრით ეგებება მომხსენებლებს.

მიტინგის თავმჯდომარე: **მეგრელიძე.**

პროფ. კავშირში.

მბეჭდავთა კავშირში. 13 მარტს ბეჭდვითი საქმის მუშათა საერთო კრებაზე მოხდა ახალი არჩევნები გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და წარმომადგენლებისა პროფ. კავშირებში. კომუნისტებისა, უპარტიოებისა და მენშევიკების მიერ წარმოდგენილ სიებში დიდი უმრავლესობა ხმებისა კომუნისტების სიამ მიიღო. მიმდინარე მომენტზე მოხსენება წაიკითხა ამ. ოკუჯავამ, რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: მოისმინა რა ამხ. ოკუჯავას მოხსენება მიმდინარე მომენტზე და პროფ. კავშირების დანიშნულებაზე, საერთო კრება მბეჭდავთა კავშირისა,—იწონებს მას და ამასთანავე აცხადებს, რომ მუშათა და გლეხთა ძალა უფლება სასურველი [illegible] მსოფლიო პროლეტარიატისა“. შემდეგ კრებამ გამოსთქვა სურვილი: 1) სტამბების ნაციონალიზაცია, 2) საბინაო საკითხის მოგვარება მუშებისთვის და 3) მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა პირველ საჭიროების საგნების მიწოდებით.

ხელოვნება

სახელმწიფო დრამის თეატრში კვირას, 20 მარტს წარმოდგენილ იქნა „სამშობლო“. პიესა ჩვეულებრივის ანსამბლით იყო შესრულებული ჩვენი დასის მიერ. ხალხით სავსე დარბაზმა გულმხურვალე ტაშით დააჯილდოვა მონაწილენი. წარმოდგენას დაესწრენ რევკომის წევრნი.

პიესა განმეორებულ იქნება კვირას, 27 მარტს.

ამ ჟამად დასი ამზადებს „ღალატს“. პიესაში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები ჩვენი დასისა. დახატულია სპეციალი დეკორაციები და დამზადებულია ისტორიული სახელსაწყო. პიესა მეორე კვირისათვის არის განზრახული.

სამშაბათს, მარტის 22 განმეორებულ იქნება „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

პარტიის წევრთა ყველა ლექტორებსა და აგიტატორებს წინადადებას აძლევს გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ აგიტ-პროპაგანდის განყოფილებაში. აღნიშნული კომიტეტივე წინადადებას აძლევს ქ. თბილისის ყველა კლუბებს, სახალხო სახლებს, სამკითხველო წიგნთ-საცავებსა და სხვა კულტურულ განმანათლებელ ორგანიზაციებს აღინუსხონ აგიტ პროპაგანდის განყოფილებაში, კრუზენშტერნის ქ., № 4.

თბილისის აფთიაქებში მომუშავე ამხ. კომუნისტების და თანამშრომელთა საყურადღებოთ.

ამხ. კომუნისტები და თანამგრძნობნი ვალდებულნი არიან ჩაეწერონ, გამოცხადებიდან 3 დღის განმავლობაში. ჩაწერას აწარმოებს პროფ. კავშირის მდივანი ამხ. კობალაძე, 12 საათამდე დღით.

კბილის ექიმთა საზ. გამგეობა

ამით აუწყებს თავის წევრთ, რომ მიმდინარე წლის 23 მარტს, ნაშუადღევის 5½ საათზე, გამგეობის ბინაზე, (რუსთაველის და ვაენი ქ. კუთხე ლევინის ბინა) დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება.

პრეზიდიუმი.

ორგანიზაციების და დაწესებულებების საყურადღებოდ

ცხადდება, რომ გაზეთ „კომუნისტ“-ში დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება.

გაზ. „კომუნისტი“-ს

მიღება შეიძლება [illegible] ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).